ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1931 წ. ნოემბრის 1. № 21 ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა.

212. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სტრუქტურისა, შტატებისა და მომუშავეთა სამუშაო ხელფასის შეცვლისა (მილიციის მიმართ) და მათი ცხრილისათვის მე-4 შენიშვნის დამატების შესახებ.

მრეწველობა.

213. საქართველოს სსრ სამთო კოდექსის შეცვლის შესახებ.

214. სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანური სადარგო სამეურნეო-ანგარიშიანი შენაერთების მომწყობი საორგანიზაციო ბიუროების შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

215. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწების ჩამორთმევის წესის შესახებ.

216. კულტურული მეურნეობებისათვის წყალსამეურნეო სისტემების გადაცემის შესახებ.

217. კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის საქმეში ხელისუფლების ქვედა ორგანოების ამოცანების თაობაზე გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების გაუქმების შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

218. დამზადების რაიონებიდან რკინის გზის სადგურებამდე და ნავთსაყუდებამდე პურის გადაზიდვისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

ტრანსპორტი.

219. რკინის გზის სადგურების თავის დროზე განტვირთვის ღონისძიებათა შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

220. ადგილობრივ საბჭოთა და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა მიერ განსახორციელებელი საბინაო, კომუნალური და სხვა არასამრეწველო მშენებლობის დაფინანსების წესის შესახებ.

221. საცხოვრებელი სადგომების თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. 1-ლი შენიშვნის და მე-9 მუხლის რედაქციის შეცვლისა და მე-10 და მე-12 მუხ. ამოშლის შესახებ.

222. დამკვრელ მშენებლობაში სამუშაოდ გამოყენებული საინჟენერო-სატეხნიკო და საადმინისტრაციო-სამეურნეო მომუშავეებისათვის წინანდელ საცხოვრებელ ადგილას საცხოვრებელი ფართობის უფლების შენარჩუნების შესახებ.

223. ყოფ. პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების წევრების შეღავათების შესახებ.

ფინანსები.

224. 1932 წლისათვის საქართველოს სსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის და ერთიანი საფინანსო გეგმის შედგენის წესისა და ვადების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალურ-კულტურული წყობილება.

225. საშუალო და დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

226. საქართველოს სსრ ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმეთა მთავარი სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმეთა მთავარ სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების შესახებ.

227. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს დებულებისა (1926 წ. მაისის 5-ის რედაქციით) და ამ დებულების დამტკიცების თაობაზე გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

228. საქართველოს სსრ-ის გამოცალკევებული კურორტების შესახებ.

229. საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 126 და 127 მუხლების განმარტების შესახებ.

სისხლის სამართალი.

230. საქონლის მიშვებით ბამბის ნათესის წახდენისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

231. „საქართველოს სსრ-ში საარბიტრაჟო კომისიების გაუქმების შესახებ" გამოცემული საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების შეცვლის შესახებ.

232. სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხლის 1-ლი პუნქტისათვის „ქ" ლიტერისა და 47 მუხლისათვის მე-2 შენიშვნის დამატების შესახებ.

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

212. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სტრუქტურისა, შტატებისა და მომუშავეთა სამუშაო ხელფასის შეცვლისა (მილიციის მიმართ) და მათი ცხრილისათვის მე-4 შენიშვნის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სტრუქტურასა, შტატებსა და მომუშავეთა სამუშაო ხელფასში, რაც დამტკიცებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1931 წ. სექტემბრის 19-ის დადგენილებით (კან. კრ. 1930 წ. 19 №-ი, მუხ. 289—1-ლი დანართი; 23 №-ი, მუხ. 331; 1931 წ. 12 №-ი, მუხ. 130 და 131; 13 №-ი, მუხ. 149), შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1. საადმინისტრაციო განყოფილება ყველა მისი საშტატო ერთეულით და სამუშაო ხელფასის განაკვეთებით ამოიშალოს და ცხრილს მუშათა და გლეხთა ინსპექციის შემდეგ დაემატოს სიტყვები:

„მილიციის სამმართველო"

„მილიციის სამმართველოს თანამშრომელთა შტატები და სამუშაო ხელფასი განისაზღვრება განსაკუთრებული კანონით".

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. აღნიშნულ ცხრილს დაემატოს მე-4 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:.

„**შენიშვნა 4.** სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის აპარატი მრჩველობას სახურეობას გაუწევს აგრეთვე იმ ქალაქის საქალაქო საბჭოს, რომელიც რაიონის ცენტრია“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვ. დრ. აღმსრ. **ბ. მაჩაიძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. სექტემბრის 17.

ტფილისი.

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

213. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სამთო კოდექსის შეცვლის შესახებ.

„სამთო დებულების შეცვლის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 20-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 4) სრულიად საქართველოს ტენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სამთო კოდექსში (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე- 8 №-ი, მუხ. 70) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. სამთო კოდექსის მე-17 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„17. ჯერ აღმოუჩენელი საბადო შეიძლება მიეცეს:

ა) მშრომელ მძებნელთ და მათ შენაერთებს ძებნისათვის, რათა აღმოჩენილი საბადო გადასცენ სათანადო სახელმწიფო ორგანოს განკარგულებად;

ბ) ძებნისა, ძიებისა და დამუშავებისათვის პირველი აღმომჩენის უფლების საფუძველზე.

იმ მშრომელ მძებნელთ და მათ შენაერთთ, რომელნიც ძებნას აწარმოებენ აღმოჩენილი საბადოს სათანადო სახელმწიფო ორგანოსათვის გადაცემის მიზნით, უკეთუ ეს აღმოჩენილი საბადო ცნობილ იქნა სამრეწველო მნიშვნელობის მქონე საბადოდ, უფლება აქვთ მიიღონ პრემიალური გასამრჯელო იმ წესების მიხედვით, რასაც დაადგენს სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო სსრკ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.“

2. საქართველოს სსრ სამთო კოდექსს დაემატოს 23^1 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„23^1. მშრომელ მძებნელთა მიერ საბადოების ძებნისათვის (მე-17 მუხ. „ა“ პუნქ.) დადგენილია საერთო წესის შემდეგი გამონაკლისი:

ა) მშრომელ მძებნელთა მიერ ძებნისათვის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილებიდან სანებართვო მოწმობის მიღება საჭალდებულოა მხოლოდ მაშინ, როდესაც ძებნა უნდა მოხდეს ამა კოდექსის მე-20 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ადგილზე; სხვა შემთხვევაში

მშრომელ მძებნელთ შეუძლიანთ ძებნა აწარმოონ რაიმე ნებართვის გარეშე და მიწათმოსარგებლის თანხმობის დამოუკიდებლად;

ბ) მშრომელი მძებნელი ძებნის წარმოების ყველა შემთხვევაში განთავისუფლდება საწინდრის შეტანისაგან (23 მუხლის „გ“ პუნქტის მე-7 ქვეპუნქტი და შენიშვნა).“

4. 26 მუხლს დაემატოს მე-2 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა 2.** იმ მშრომელ მძებნელს, რომელიც პრემიალურ გასამრჯელოს იღებს მე-17 მუხლის შენიშვნის წესისამებრ, არ შეუძლიან იქონიოს მის მიერ აღმოჩენილ საბადოზე პირველი აღმომჩენის უფლების მიღების პრეტენზია.“

26 მუხლის მომქმედი შენიშვნა ჩაითვალოს პირველ შენიშვნად.

5. 49 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** სახელმწიფო ორგანოს შეუძლიან მიანდოს ძიების წარმოება, პრემიალური გასამრჯელოს მიცემით, იმ მშრომელთ და მათ შენაერთთ, რომელნიც დაქირავებულ შრომას არ იყენებენ.

პრემიალური გასამრჯელოს მიცემის წესი და პირობები განისაზღვრება სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ, სსრკ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოცემული წესებით.“

6. საქართველოს სსრ სამთო კოდექსს დაემატოს 53¹ და 53² მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„53¹. უკეთუ მშრომელი მძებნელი აღმოაჩენს ახალ საბადოს ან საბადოს ახალ გამოსასვლელს, რაც ღირს საძიებლად (მუხ. 17), აღმოჩენის მთელ მასალას გაჰგზავნის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილებაში, რომელიც გადასცემს ამ მასალას ამიერკავკასიის საგეოლოგო საძიებლო სამმართველოს ან სხვა სათანადო სახელმწიფო ორგანოს.

მშრომელ მძებნელთა მიერ აღმოჩენილი ყველა საბადო შეიტანება იმ ადგილთა სიაში, რაც პირობით დახურულია ძებნისა და ძიებისათვის პირველი აღმომჩენის უფლების საფუძველზე.“

„53². მშრომელი მძებნელნი და მათი შენაერთნი ძიებას აწარმოებენ პირველ აღმომჩენთა მიერ ძიების წარმოებისათვის დადგენილი საერთო წესების თანახმად, ხოლო შემდეგი გამონაკლისით:

ა) ძიების სანებართვო მოწმობას მშრომელთ და მათ შენაერთთ მისცემს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილება როგორც ამიერკავკასიის საგეოლოგო-საძიებლო სამმართველოს ან სათანადო სახელმწიფო ორგანოს საამისო განცხადებისა, ისე მშრომელთა და მათ შენაერთთა დამოუკიდებელი განცხადების თანახმად;

ბ) მშრომელთა და მათ შენაერთთათვის ძიების სანებართვო მოწმობის მიცემის დროს სამთო კოდექსის 37 მუხლის „ვ“ პუნქტით გათვალისწინებული საწინდრის წარდგენა საჭირო არ არის;

გ) ყოველწლიურ ხარჯს ამ ფართობის ღირებულების გასადიდებლად (სამთო კოდექსის 45 მუხ.), რომელზედაც ძიებას აწარმოებენ სახელმწიფო ორგანოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ ძიებაში ჩაბმული მშრომელნი და მათი შენაერთნი, გაიღებს ეს სახელმწიფო ორგანო;

დ) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უფლება აქვს შეამციროს იმ ძიების ყოველწლიური ხარჯების რაოდენობა, რასაც აწარმოებენ მშრომელნი და მათი შენაერთნი, დადგენილი ნორმების 50%-დე (მუხ. 45);

ე) საძიებლო მუშაობის დროს მშრომელთა და მათ შენაერთთა მიერ ამოღებული წიაღისეული გადაეცემა სახელმწიფო ორგანოს ან მშრომელთ და მათ შენაერთთ, სახელმწიფო ორგანოს და მათ შორის მომხდარი შეთანხმების მიხედვით, იმ წიაღისეულს გარდა, რაც, სპეციალური კანონის თანახმად, უნდა ჩაბარდეს სახელმწიფოს;

ვ) პასუხისმგებლობა მშრომელთა და მათ შენაერთთა მიერ საძიებლო მუშაობის ტექნიკური მხრით წესიერად წარმოებისათვის დაეკისრება, როგორც საერთო წესი, სათანადო სახელმწიფო ორგანოს; ცალკეულ შემთხვევაში, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილების თანხმობით, პასუხისმგებლობა შეიძლება უშუალოდ მშრომელთ და მათ შენაერთთ დაეკისროს;

ზ) სახელმწიფო ორგანოს მიერ საქმეში ჩაბმულ მშრომელთა და მათ შენაერთთაგან ნაძიები საბადოები მიეცემათ მათ პირველი აღმომჩენის უფლების საფუძველზე.

შენიშვნა. სახელმწიფო ორგანოთა და მშრომელთა და მათ შენაერთთა ურთიერთობა ძებნისა და ძიების სფეროში დამყარდება ხალშეკრულებითი შეთანხმებით სამთო კანონმდებლობის შესაბამისად."

7. მე-80 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** განსაზოგადოებული სექტორის ის დაწესებულება, საწარმო და ორგანიზაცია, რომელიც პირველი აღმომჩენია, განთავისუფლდება მის მიერ აღმოჩენილი საბადოს ექსპლოატაციის დროს წილადი ანარიცხის შეტანისაგან სასარგებლო წიაღისეული ამოღებისათვის."

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვ. დრ. აღმსრ. **ბ. მაჩაიძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა.კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. სექტემბრის 17.
ტფილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

214. დადგენილება ს.კ.ს.

სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანური სადარგო სამეურნეო-ანგარიშიანი შენაერთების მომწყობი საორგანიზაციო ბიუროების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის კავშირს—სარეწაო კავშირს—დააარსოს ხოლმე საორგანიზაციო ბიუროები თავის სისტემაში რესპუბლიკანური სადარგო სამეურნეო-ანგარიშიანი შენაერთების მოსაწყობად. თანახმად სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებების: 1931 წ. ივნისის 28-ის—„შინამრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის შესახებ“ და 1931 წ. ივლისის 11-ის—„სარეწაო კოოპერაციის სადარგო სამეურნეო-ანგარიშიანი შენაერთებისათვის იურიდიული პირის უფლებათა მინიჭებისა და მათი წესდებების დამტკიცების წესის შესახებ“ (სსრკ კან.კრ. 1931 წ. 41 №-ი, მუხ.284 და 45 №-ი, მუხ. 310); ამ ბიუროებს, გარდა აღნიშნული შენაერთების მოწყობისათვის საჭირო სამზადისის განხორციელებისა, დაეკისრებათ აგრეთვე, შენაერთების საბოლოო უფლებრივ გაფორმებამდე, შემდეგი ფუნქციების შესრულება:

ა) ხელმძღვანელობა გაუწიონ, დაგეგმონ და მოაწესრიგონ წარმოების სათანადო დარგების საშინამრეწველო-სარეწაო ამხანაგობების და არტელების ქსელი;

ბ) განახორციელონ სასინდიკატო ფუნქციები წარმოების სათანადო დარგების საშინამრეწველო-სარეწაო ამხანაგობებისა და არტელების პროდუქციის რეალიზაციისა და გასაღებისათვის.

2. სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანური სადარგო სამეურნეო-ანგარიშიანი შენაერთების უფლებრივ გაფორმებამდე, ნება დაერთოს 1-ლ მუხლში აღნიშნულ საორგანიზაციო ბიუროებს მიიღონ ხოლმე მიზნობრივი გამოყენებისათვის ყველა ის თანხა, რაც სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, სარეწაო კოოპერაციის სისტემის სახსრიდან და საბანკო კრედიტიდან გადადებულ იქნება შინამრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის სათანადო დარგების განვითარების მიზნით.

3. ზემოაღნიშნული ამოცანების განხორციელებისათვის მიეცეს საორგანიზაციო ბიუროებს იურიდიული პირის უფლებანი, კერძოდ—უფლება: შეიძინონ ქონება, დასდვან ყოველგვარი ხელშეკრულება და გარიგება, მიიღონ კრედიტი სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ დაწესებულებებში და ორგანიზაციებში, მათ შორის—საბანკო კრედიტიც, აწარმოონ სასაქონლო, სასესხო და სხვა ოპერაციები, დაიქირაონ მუშა-მოსამსახურენი, ისარჩელონ და პასუხი აგონ სასამართლო დაწესებულებებში და სახელმწიფო არბიტრაჟის წესით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **პ. ტყაბლაძე.**

1931 წ. სექტემბრის 18.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 219 №-ში 1931 წ. სექტემბრის 23.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

215. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწების ჩამორთმევის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ მიწის კოდექსის მე-20 მუხლისა და ამ მუხლის შენიშვნის განსავითარებლად (კან.კრ. 1930 წ. 2 №-ი, მუხ. 334) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ჩამორთმევა შიძლება იმისდამიუხედავად, ვის გამგებლობასა და სარგებლობაშია ეს მიწა.

2. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულებისა თუ საწარმოს სპეციალური საჭიროებისათვის მიწის ჩამორთმევა, ამ დაწესებულების თუ საწარმოს განცხადებისამებრ, მოხდება საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დადგენილებით.

3. მიწის ჩამორთმევის თაობაზე საკითხის აღძვრის დროს წარდგენილ უნდა იქნეს იმ სახალხო კომისარიატისა თუ სხვა ცენტრალური ორგანოს დადგენილება—სპეციალური მიზნისათვის მიწის ჩამორთმევის აუცილებლობის შესახებ, რომლის გამგებლობაშიაც იმყოფება მიწის მსაჭიროებელი დაწესებულება ან საწარმო.

4. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი თავის დადგენილებას მიწის ჩამორთმევის საკითხის შესახებ გამოიტანს მას შემდეგ, რაც მიიღებს ადგილობრივი საადგილმამულო ორგანოს დასკვნას.

5. სათანადო საადგილმამულო ორგანოს დასკვნის განხილვის შემდეგ საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატი დაადგენს მიწის ჩამორთმევას ან უარყოფს ამას.

6. უკეთუ ჩამოსართმევი მიწა სახელმწიფო ორგანოს თუ საწარმოს გამგებლობაშია და იგი უარზეა, რომ მიწა ჩამოერთვას, საკითხი მიწის ჩამორთმევის შესახებ, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დასკვნითურთ, წარედგინება გადასაწყვეტად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

7. სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულების საჭიროებისათვის მიწის ჩამორთმევის საკითხს ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში გადასწყვეტს ყოველთვის სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

8. როდესაც მიწა უნდა ჩამოერთვას ინდივიდუალურ მიწადმოსარგებლეს, იმის შემდეგ რაც მას აენაზღაურება ზიანი და გამოუყენებელი დანახარჯი თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მაისის 13-ის დადგენილებისა „მიწების ჩამორთმევის დროს ზარალისა და გამოუყენებელი დანახარჯის ანაზღაურების წესის შესახებ“ (კან. კრ. 1931 წ. მე-12 №-ი, მუხ. 133), მას დაენიშნება ვადა მიწის გასანთავისუფლებლად და, უკეთუ დანიშნულ ვადაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწა განთავისუფლებულ არ იქნა, მიწათმოსარგებლე გამოსახლებულ უნდა იქნეს საადმინისტრაციო წესისამებრ მილიციის ორგანოს მეშვეობით, ხოლო ჩამორთმეულ მიწაზე მდებარე შენობა და ნაგებობა შიძლება მოშალოს იმ დაწესებულებამ თუ საწარმომ, რომლის სარგებლობაშიაც მიწა გადადის.

9. იმ დაწესებულებას და საწარმოს, რომელსაც ჩამოერთვა მიწა სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, აენაზღაურება ჩამორთმევის ფაქტით გამოწვეული ზარალი იმ წესით და იმ რაოდენობით, რაც გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მაისის 13-ის დადგენილებაში „მიწების ჩამორთმევის დროს ზარალისა და გამოუყენებელი დანახარჯის ანაზღაურების შესახებ" (კან. კრ. 1931 წ. მე-12 №-ი, მუხ. 133).

10. ინსტრუქციას ამა დადგენილების შეფარდებისათვის გამოსცემს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარის მოვ. დრ. აღმსრ. **ბ. მაჩაიძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. სექტემბრის 17.
ტფილისი.

---

216. დადგენილება ს. კ. ს.

კოლექტიური მეურნეობებისათვის წყალსამეურნეო სისტემების გადაცემის შესახებ.

ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობების განსაზოგადოებულ ფორმებზე მასიურად გადასვლის პროცესთან დაკავშირებით და 1931 წლის წყლის გამოსაღების დებულების მე-15 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 32 №-ი, მუხ. 244) საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს გადასცეს ხოლმე წყალსამეურნეო სისტემები, მთლად ან ნაწილობრივ, საექსპლოატაციოდ კოლექტიურ მეურნეობებს (სასოფლო-სამეურნეო კომუნებს, სასოფლო-სამეურნეო არტელებს და შეერთებული ძალით მიწის დამმუშავებელ ამხანაგობებს) და მათ სარაიონო კავშირებს.

წყალსამეურნეო სისტემების სამელიორაციო (წყლის) ამხანაგობებისათვის გადაცემა შეჩერებულ იქნეს.

2. წყალსამეურნეო სისტემების კოლექტიური მეურნეობებისათვის ან მათ სარაიონო კავშირებისათვის გადაცემის დროს ეს უკანასკნელნი იკისრებენ წყლის ქსელის (მთლად ან სათანადო ნაწილის) ექსპლოატაციასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და კერძოდ:

ა) წყალსამეურნეო გამართულობათა და ნაგებობათა მიმდინარე რემონტის ხარჯს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) წყლის სისტემის საექსპლოატაციო სამსახურის ორგანოების სასამართ-ხურო, სასაწყობო და სხვა სადგომების შენახვისა და რემონტის ხარჯს და აგრეთვე იმ სატელეფონო კავშირგაბმულობის შენახვისა და რემონტის ხარჯს, რაც მომსახურეობას უწევს წყლის სისტემას;

გ) საერთო სარგებლობის არხების გასწვრივ ხის ნარგავთა მოვლა-პატრონობის ხარჯს;

დ) სარწყავ პერიოდში წყლის განაწილების რეგულირების ხარჯს;

ე) საექსპლოატაციო ჰიდრომეტრიისა და მიმდინარე სტატისტიკის ხარჯს;

ვ) წყალსამეურნეო სისტემების საექსპლოატაციო შტატისა და წყლის ქვედა ადმინისტრაციის (მერაბებისა, ჯუვარებისა, წყლის მიმომსვლელი მცველებისა და ყარაულებისა და სხვ.) შენახვის ხარჯს.

შენიშვნა. ის კოლექტიური მეურნეობა (სარაიონო საკოლმეურნეო კავშირი), რომელმაც მიიღო საექსპლოატაციოდ წყალსამეურნეო სისტემის ნაწილი, მონაწილეობას იღებს სათანადო წილადობით სისტემის საერთო ხარჯებში (სათავე ნაგებობის შენახვისა და რემონტის ხარჯი, მთელი სისტემის დასაცავი ნაგებობის შენახვისა და რემონტის ხარჯი, სისტემის საერთო ადმინისტრაციისა და მთელი სისტემისათვის მომსახურეობის გამწევი ტეხნიკური პერსონალის შენახვის ხარჯი და სხვ.).

3. კოლექტიური მეურნეობებისათვის (სარაიონო საკოლმეურნეო კავშირისათვის), ამა დადგენილების 1-ლი მუხლის წესით, გადაცემულ წყალსამეურნეო სისტემებიდან სასოფლო სამეურნეო მიწების მორწყვისა და მელიორაციის სამრეწველო და ტეხნიკური მიზნით ან და მამოძრავებელი ძალის სახით წყლის მოსარგებლე ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი, სახელმწიფო დაწესებულებანი და საწარმონი, კოოპერატიული, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციები და კერძო პირები მონაწილეობას იღებენ სათანადო წყალსამეურნეო სისტემების საექსპლოატაციო ხარჯებში შემდეგ საფუძველზე:

ა) ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობა მონაწილეობას იღებს აღნიშნულ ხარჯებში მისი სარწყავი ფართობებისა და წყალსამეურნეო ნაგებობიდან და გამართულობიდან გამომდინარე სარფის პროპორციულად; ამასთანავე ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს მეურნეობის ძალოვნება და ღარიბთათვის დაწესებული შეღავათები (ხარჯების განაწილება კლასობრივი პრინციპის მიხედვით); ხოლო კულაკური მეურნეობა ამ ხარჯებში მონაწილეობას იღებს ისეთი თანხით, რაც ნაკლები არ იქნება მის ხვედრ წყლის გამოსაღებზე (საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივლისის 11-ის დადგენილების მე-VIII კარი—საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-15 №-ი, მუხ. 173);

ბ) სახელმწიფო დაწესებულება და საწარმო, კოოპერატიული, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაცია და აგრეთვე საბჭოთა მეურნეობა მონაწილეობას იღებს აღნიშნულ ხარჯებში ისეთი თანხით, რაც უდრის მის ხვედრ წყლის გამოსაღებ (საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების მე-II და მე-III კარი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლექტიური მეურნეობისათვის საექსპლოატაციოდ გადაცემული წყალსამეურნეო სისტემის შენახვის ხარჯს გაანაწილებს ზემოაღნიშნულ საფუძველზე კოლექტიური მეურნეობის გამგეობა ან სარაიონო საკოლმეურნეო კავშირის გამგეობა და ამ განაწილებას დაამტკიცებს სათანადო რაიონის წყალთა მეურნეობის სამმართველო.

საჩივარი არასისწორით განაწილებაზე შეიტანება სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტში, რომლის დადგენილებაც საბოლოოა.

ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა, საწარმოთა, მეურნეობათა და სხვათა მიერ კოლექტიური მეურნეობის (ან სარაიონო საკოლმეურნეო კავშირის) გამგეობისაგან დადგენილ ვადაზე გადაუხდელი თანხები ჩაირიცხება ნარჩენად და გადახდევინებულ იქნება იმ წესით, რაც განსაზღვრულია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მენარჩენეთათვის.

4. კოლექტიური მეურნეობა (სარაიონო საკოლმეურნეო კავშირი) მისთვის გადაცემული წყალსამეურნეო სისტემის ექსპლოატაციის სფეროში მოქმედობს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების (სარაიონო წყალთა მეურნეობის სამმართველო) ხელმძღვანელობით (საორგანიზაციო, სატეხნიკო და საფინანსო).

5. ის კოლექტიური მეურნეობა ან სარაიონო საკოლმეურნეო კავშირი, რომელსაც, ამა დადგენილების წესისამებრ, გადაეცა საექსპლოატაციოდ წყალსამეურნეო სისტემა, მიიღებს თავის თავზე ყველა საეალო ვალდებულებას, რაც სისტემაზე ირიცხება (მთლად ან სათანადო ნაწილს), და მას უფლება აქვს გამოიტანოს სამელიორაციო ფონდიდან მიზნობრივი სესხი სამელიორაციო (წყლის) ამხანაგობათათვის დადგენილ საფუძველზე.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს გამოსცეს ერთი დეკადის ვადაზე, საქართველოს სსრ საკოლმეურნეო ცენტრთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. **ბ. ფალავა.**

1931 წ. სექტემბრის 18.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 220 №-ში 1931 წ. სექტემბრის 24.

---

217. დადგენილება ს.ა.კ. და ს.კ.ს.

კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის საქმეში ხელისუფლების ქვედა ორგანოების ამოცანების თაობაზე გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის მარტის 24-ის დად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენილება ხელისუფლების ქვედა ორგანოების ამოცანების შესახებ კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის საქმეში და ინსტრუქცია აღნიშნული დადგენილების შეფარდებისათვის (კან. კრ. 1930 წ. 2 №-ი, მუხ. 90) გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვ. დრ. აღმსრ. **ბ. მაჩაიძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. სექტემბრის 17.
ტფილისი.

ვაჭრობა. მოგმარაგება

218. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

დამზადების რაიონებიდან რკინის გზის სადგურებამდე და ნავთსაყუდებამდე პურის გადაზიდვისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს პურის დამზადების რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს დააწესონ ხოლმე, სათანადო დამმზადებელი ორგანიზაციების მოთხოვნებისამებრ, ადგილობრივი მოსახლეობისათვის ფასიანი შრომის ჭაპანზიდვის ბეგარა იმ საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ნოემბრის 11-ის დადგენილებით „პურის დამზადების რაიონებში ფასიანი შრომის ჭაპანზიდვის ბეგარის დაწესების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 23 №-ი, მუხ. 284), დამზადების რაიონებიდან რკინის გზის სადგურებამდე და ნავთსაყუდებამდე პურის გადაზიდვისათვის.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული ბეგარის შემოღების შესახებ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების გამოცემისათვის თვითეულ ცალკე შემთხვევაში ზემდგომი ორგანოს ნებართვა საჭირო არ არის.

2. ბეგარის წესით პურეული ტვირთის გადაზიდვისათვის დაწესებულ იქნეს ფასი 1 კაპ. რაოდენობით ფუთზე თითო კილომეტრობით.

3. მობილიზებულ იქნეს პურის დამზადების რაიონებში მთელი იმ ხნისთვის, რაც წარმოებულ იქნება პურის გადაზიდვა დამზადების რაიონებიდან რკინის გზის სადგურებამდე და ნავთსაყუდებამდე, ადგილობრივი სახელმწიფო დაწესებულებებისა, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების განკარგულებაში მყოფი მთელი საავტომობილო და საჭაპანზიდვო ტრანსპორტი და აგრეთვე ამ დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კუთვნილი ცხენები და ეს ტრანსპორტი და ცხენები გადაეცეს სათანადო დამმზადებელი ორგანოების გამგებლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 1. აღნიშნული მობილიზაციისაგან განთავისუფლდება იმ დაწესებულებისა და ორგანიზაციების საავტომობილო და საჭაპანზიდვო ტრანსპორტი და ცხენები, რომელნიც ჩამოთვლილ იქნებიან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ დამტკიცებულ განსაკუთრებულ სიებში.

შენიშვნა 2. მე-3 მუხლის წესისამებრ მობილიზებული ქონების საექსპლოატაციო ხარჯები დაეკისრებათ სათანადო დამმზადებელ ორგანიზაციებს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვ. დრ. აღმსრ. ბ. მაჩაიძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრია.

1931 წ. სექტემბრის 17.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 220 №-ში 1931 წ. სექტემბრის 24.

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი

219. დადგენილება ს.კ.ს.

რკინის გზის სადგურების თავის დროზე განტვირთვის ღონისძიებათა შესახებ.

თანახმად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 26-ის დადგენილებისა „რკინის გზის სადგურების თავის დროზე განტვირთვის შესახებ" (ზარია ვოსტოკა"-ს 1931 წ. 237 №-ი), რაც დამყარებულია შრომისა და თავდაცვის საბჭოს ძირითად დირექტივებზე, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოწყობილ იქნეს, სამი დღის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, ნავთლუღისა, ტფილისისა, გორისა, ბორჯომისა, სამტრედიისა, ქუთაისისა, ბათომისა, ახალსენაკისა, ფოთისა, ოზურგეთისა და წნორის წყალის სარკინისგზო სადგურებთან სპეციალური კომისიები (სამეულები) სარკინისგზო საწყობებიდან ტვირთის თავის დროზე გამოტანისათვის მეთვალყურეობის გასაწევად; კომისიის შედგენილობაში შევლენ წარმომადგენელნი სათანადო საქალაქო საბჭოს ან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა (თავმჯდომარე), ამიერკავკასიის რკინის გზებისა და გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს საგზაო-სატრანსპორტო განყოფილებისა.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მომქმედ ყველა საავტოტრანსპორტო საწარმოს და ჭაპანზიდვის ტრანსპორტის ორგანიზაციას ტვირთის გამოზიდვა სარკინისგზო საწყობებიდან აწარმოონ პირველ რიგში.

საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებულმა საგადაზიდვო თათბირმა უნდა გადასინჯოს, ზემოხსენებულის შესაბამისად, საავტომობილო და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპანზიდვო გადაზიდვების გეგმა ა/წ. სექტემბრისათვის და შემდგომ, ყოველთვიური გეგმების შედგენის დროს, მხედველობაში იქონიოს, რომ საჭიროა პირველ რიგში ტვირთი გამოზიდულ იქნეს სარკინისგზო საწყობებიდან.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართვ. მოვ. დრ. აღმსრ. **გ. მიროტაძე.**

1931 წ. სექტემბრის 3.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 209 №-ში 1931 წ. სექტემბრის 11.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

220. დადგენილება ს. კ. ს.

ადგილობრივ საბჭოთა და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა მიერ განსახორციელებელი საბინაო, კომუნალური და სხვა არასამრეწველო მშენებლობის დაფინანსების წესის შესახებ.

„კომუნალური მეურნეობისა და საბინაო მშენებლობის ცენტრალური ბანკისა და რესპუბლიკანური და ადგილობრივი კომუნალური ბანკების მეშვეობით საბინაო და კომუნალური მშენებლობის დაფინანსების შესახებ" გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივლისის 11-ის დადგენილების შესაბამისად (სსრ კან. კრ. 1931 წ. 51 №-ი, მუხ. 570) და „რესპუბლიკანური და ადგილობრივი კომუნალური ბანკების მეშვეობით კომუნალური და საბინაო მშენებლობის დაფინანსების წესის შესახებ" გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ოქტომბრის 8-ის დადგენილების განსავითარებლათ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაფინანსება იმ საბინაო, კომუნალური და სხვა არა სამრეწველო (სოციალურ-კულტურული) მშენებლობისა, რასაც საქართველო სსსრ ტერიტორიაზე ანხორციელებენ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტნი, საქალაქო და სასოფლო საბჭონი, ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფნი დაწესებულებანი და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმონი, როგორც ადგილობრივი ბიუჯეტებით გადადებული სახსრით, ისე საწარმოთა საკუთარი სახსრით ან სხვა რამ წყაროთი, მოხდება მარტოოდენ საქართველოს სსრ კომუნალური ბანკის მეშვეობით.

აღნიშნული სახსარი გადაეცემა საქართველოს სსრ კომუნალურ ბანკს: ა) ის, რაც გაღებულია ადგილობრივი ბიუჯეტით,—კომუნალურ ბანკსა და სათანადო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტსა და ადგილობრივ საბჭოს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე; ბ) ის, რაც გადადებულია სხვა წყაროდან,—კომუნალურ ბანკსა და სათანადო დაწესებულებასა და საწარმოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ამა მუხლში აღნიშნულ ტიპურ შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

შენიშვნა. ამა დადგენილებით გათვალისწინებული წესისამებრ განხორციელდება როგორც ახალი საბინაო, კომუნალური და სხვა, ანა სამრეწველო მშენებლობის დაფინანსება, ისე აღნიშნული კატეგორიების შენობათა და ნაგებობათა გაფართოება, შენობის დამთავრება, დაშენება და აღდგენა.

2. საქართველოს სსრ კომუნალური ბანკი: ა) გასცემს მისთვის გადაცემულ საბიუჯეტო და სხვა სახსარს მხოლოდ მის შემდეგ, რაც მშენებლობის მწარმოებელი დაწესებულება თუ საწარმო წარუდგენს მას არსებული წესით დამტკიცებულ სატიტულო სიას, პროექტს და ხარჯთაღრიცხვას; ბ) შეამოწმებს წარდგენილ ხარჯთ აღრიცხვას და პროექტს იმ თვალსაზრისით, თუ რამდენათ შეესაბამება მშენებლობის ღირებულება არსებული წესით დამტკიცებულ ტეხნიკურ ნორმებს, ლიმიტებს და სხვა მაჩვენებლებს; გ) კონტროლს გაუწევს კრედიტების პირდაპირი დანიშნულებისამებრ და ხელშეკრულებისა და შეთანხმების პირობების შესაბამისად გამოყენებას.

შენიშვნა 1. მშენებელი დაწესებულებისა და საწარმოსათვის საჭირო სახსრის გაცემა, პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის წარუდგენლად, შეიძლება მხოლოდ მშენებლობის პროექტირებისა და საშენი მასალის დამზადებისათვის.

შენიშვნა 2. ამა მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნულ ფუნქციებს კომუნალური ბანკი განახორციელებს მხოლოდ იმ პროექტების მიმართ, რასაც, კანონის თანახმად, ამტკიცებენ სათანადო სარაიონო და საქალაქო ორგანოები.

3. საქ. სსრ კომუნალურ ბანკს უფლება აქვს: ა) მოსთხოვოს მშენებლობის მწარმოებელ დაწესებულებას და საწარმოს ანგარიშგების (საშუალედო და აღსრულებითი) წარდგენა საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი ფორმით, ბ) შეაჩეროს ფულის მიცემა მშენებლობის მწარმოებელი დაწესებულებისა და საწარმოსათვის, ხელშეკრულების და შეთანხმების პირობების დარღვევის გამო, და ეს უნდა აცნობოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

4. სამშენებლო ორგანიზაციებს მათ მიერ გაწეული ხარჯების ანგარიშს გაუსწორებს საქართველოს სსრ კომუნალური ბანკი საკრედიტო რეფორმის კანონით დადგენილი წესების თანახმად.

5. საქართველოს სსრ კომუნალური ბანკი დაუბრუნებელი სესხის გასაცემად მისთვის გადაცემული თანხებისათვის პროცენტს არ იხდის და თითონაც ამ სესხის მიმღებთ არავითარ გასამრჯელოს არ ახდევინებს.

დასაბრუნებელი სესხის პროცენტს განსაზღვრავს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

6. ბიენდოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს გამოსცეს, ერთი დეკადის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. **ვ. ლუნკევიჩი.**

1931 წ. სექტემბრის 18.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 232 №-ში 1931 წ. ოქტომბრის 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

221. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საცხოვრებელი სადგომების თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-3-მე მუხ. 1-ლი შენიშვნისა და მე-9-რე მუხლის რედაქციის შეცვლისა და მე-10 და მე-12 მუხ. ამოშლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„საცხოვრებელი სადგომების შესახებ" გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის სექტემბრის 26-ის დადგენილებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1923 წ. მე-2 №-ი, მუხ. 20) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1. მე-3 მუხლის 1-ლი შენიშვნა და მე-9 მუხლი (კან. კრ. 1925 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 14; 1930 წ. მე-2 №-ი, მუხ. 15) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა** 1. სავაჭრო-სამრეწველო სადგომები (მაღაზიები, დუქნები საწყობები, სასტუმროები, აბანოები და ბაკები), რაგვარ სახლთმფლობელობაშიაც უნდა იყოს იგი, რჩება ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობაში."

„9. ყველა მოქალაქისათვის დაწესებულ იქნეს საცხოვრებელი ფართობის შემდეგი ნორმა (საბინაო-სანიტარული ნორმა): ტფილისში—ათი კვადრატული მეტრი სულზე, ხოლო საქართველოს დანარჩენ ქალაქებში—12 კვადრატული მეტრი; სარაიონო ცენტრებში სოფლად საცხოვრებელი ფართობის ნორმების დაწესების უფლება ეძლევა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, ხოლო იმ პირობით, რომ იგი არ უნდა აღემატებოდეს 8 კვადრ. მეტრს სულზე.

დაწესებულებათა და საწარმოთათვის ნორმად დაწესებულ იქნეს 4,5 კვადრ. მეტრი თვითეულ თანამშრომელზე.

შენიშვნა. იმ მოქალაქეთ, რომელნიც აღნიშნულ არიან განსაკუთრებულ კანონში, ამა მუხლით გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართობის ზედმეტად მიეცემათ დამატებითი საცხოვრებელი ფართობი ცალკე ოთახის სახით ან ოთახშიგნითი ფართობის სახით ათი კვად. მეტრის სივრცით (კან. კრ. 1931 წლის მე-3 №-ი, მუხ. 40).

საბჭოთა დაწესებულებასა და საწარმოში ამა მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნული ნორმის ზედმეტად, ამ დაწესებულებისა და საწარმოს სათავეში მდგომ პირს შეიძლება მიეცეს კაბინეტი სივრცით 15 კვადრ. მეტრამდე.

2. მე-10 და მე-12 მუხლები ამოშლილ იქნეს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგილე **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ხ. თოდრია.**

931 წ. სექტემბრის 27.
1 ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

222. დადგენილება ს. კ. ს.

დამკვრელ მშენებლობაში სამუშაოდ გამოყენებული საინჟენერო-სატეხნიკო და საადმინისტრაციო-სამეურნეო მომუშავეებისათვის წინანდელ საცხოვრებელ ადგილას საცხოვრებელი ფართობის უფლების შენარჩუნების შესახებ.

„დამკვრელ მშენებლობაში სამუშაოდ გამოყენებული საინჟენერო-სატეხნიკო და საადმინისტრაციო-სამეურნეო მომუშავეებისათვის წინანდელ საცხოვრებელ ადგილას საცხოვრებელი ფართობის უფლების შენარჩუნების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მაისის 25-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ-ის კან. კრ. 1931 წ. 34 №-ი, მუხ. 256) საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საინჟენერო-სატეხნიკო და საადმინისტრაციო-სანეურნეო მომუშავეთ (ათისთავებითურთ), რომელნიც განოყენებულ იქნებიან დამკვრელ მშენებლობაში სამუშაოდ (შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ დამტკიცებული სიით), შეენარჩუნებათ წინანდელ საცხოვრებელ ადგილას ქონებული საცხოვრებელი ფართობის უფლება აღნიშნულ მშენებლობაში მუშაობის მთელი დროის განმავლობაში იმ საფუძველზე, რაც დადგენილია საზღვარგარეთ სსრ კავშირის დაწესებულებებსა და საწარმოებში სამუშაოდ გაგზავნილი მომუშავეებისათვის (სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ივლისის 11-ის დადგენილება „სსრკ-ის საზღვარგარეთ მომქმედ დაწესებულებათა და საწარმოთა მომუშავეების საცხოვრებელი სივრცით უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“—კან. კრ. 1928 წ. 11 №-ი, მუხ. 104; 1929 წ. 19 №-ი, მუხ. 209).

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. აგვისტოს 13.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 193 №-ში 1931 წ. აგვისტოს 22.

---

223. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ყოფ. პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების და ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრების შეღავათების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I

ყოფ. პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების და ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრებს მიენიჭოს შემდეგი შეღავათები საცხოვრებელი ფართობის ქირისა და კომუნალური მომსახურეობის სასყიდლის სფეროში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. იმ საცხოვრებელი ფართობის ქირა, რაც უჭირავს ყოფილ პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების და ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრს და მის ოჯახს ნაციონალიზებულ, მუნიციპალიზებულ და კერძო მფლობელობის სახლში და აგრეთვე უწყებისა, დაწესებულებისა და საწარმოსათვის მიკუთვნებულ სახლში, გადახდევინებულ უნდა იქნეს ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში მომქმედი საბინაო ტარიფის 10-დან 50%-მდე დაკლებით. ამ მონაკლების რაოდენობას განსაზღვრავენ საქალაქო საბჭოები და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები.

2. კომუნალური მომსახურეობის სასყიდელს (წყლის მიწოდება, კანალიზაცია, ელექტროენერგია განათებისა და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის, ქალაქის სამრეცხველოების სარგებლობა, აბანოების და სხვ. სარგებლობა, ქალაქის რკინის გზის და საავტობუსო ტრანსპორტის სარგებლობა) ყოფ. პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების და ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრი გადაიხდის ადგილობრივი საბჭოს მიერ დადგენილი შეღავათიანი ტარიფით.

შენიშვნა. ადგილობრივ საბჭოს შეუძლიან სრულიად გაანთავისუფლოს ყოფ. პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების და ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრი კომუნალური მომსახურეობის ან ზოგიერთი მისი სახის სასყიდლისაგან.

II

განთავისუფლებულ იქნენ ყოფ. პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების და ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრები:

1) მათი კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებისა, ხოლო ქალაქად აგრეთვე ოთხფეხი საქონლის ადგილობრივი გადასახადის გადახდისაგან, უკეთუ ეს სატრანსპორტო საშუალება და ოთხფეხი საქონელი გამოყენებულია მხოლოდ აღნიშნული პირების და მათი ოჯახის პირადი საჭიროებისათვის;

2) აღნიშნული პირების და მათი ოჯახის კუთვნილი შენობის გადასახადის გადახდისაგან, უკეთუ ეს შენობები უშუალოთ მათ უჭირავთ და ისინი არ ეწევიან ამ შენობის ექსპლოატაციას მათი გაქირავებით ბინებად ან ოთახებათ;

3) მიწის რენტის გადახდისაგან აღნიშნული პირების და მათი ოჯახის სარგებლობაში ქონებული ქალაქად მდებარე მიწის ნაკვეთებისათვის: ა) რომელზედაც აგებულია საცხოვრებელი შენობა, უკეთუ ეს შენობა მთლად გაქირავებული არ არის, და ბ) რომელიც სასოფლო-სამეურნეო სარგებლობისაა, უკეთუ მიწის ნაკვეთი დაქირავებული შრომის გამოუყენებლად მუშავდება და ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ იბეგრება.

III

ამა დადგენილების 1-ლი კარის და 2-რე კარის 1-ლი პუნქტის შესაბამისად შეტანილ იქნეს საკანონმდებლო აქტებში შემდეგი ცვლილებანი:

1. საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ გამოცემულ სრულიად საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ-ის ახალ-ლხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 2-ის დადგენილებაში:

23² მუხლი (გაზ. „კომუნისტი“ 1931 წ. № 173) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„23² ყოფ. წითელგვარდიელები და წითელპარტიზანები და მათი ოჯახი, რომელთაც მიიღეს სათანადო მოწმობა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1930 წლის დეკემბრის 16-ს დამტკიცებული წესების თანახმად (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 3), და აგრეთვე ყოფ. პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების და ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრები ქირას მათ მიერ დაჭერილი საცხოვრებელი ფართობისათვის გადაიხდიან საბინაო ქირის 10-დან 50%-დე დაკლებით. ამ მონაკლების რაოდენობას განსაზღვრავენ საქალაქო საბჭოები და საარაონო აღმასრულებელი კომიტეტები.“

2. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის აპრილის 3-ის დადგენილებაში ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ:

ა) მე-5 მუხლის „გ“ პუნქტი (კან. კრ. 1931 წ. მე-6 №-ი, მუხ. 71) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[5. სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადისაგან განთავისუფლდება:....]

„გ) სატრანსპორტო საშუალება, რაც ეკუთვნის შრომის გმირს, ყოფ. პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების წევრს და ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრს, უკეთუ ეს სატრანსპორტო საშუალება გამოყენებულია მხოლოდ აღნიშნული პირების და მათი ოჯახის პირადი საჭიროებისათვის.“

ბ) მე-9 მუხლის „ბ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[9. ოთხფეხი საქონლის გადასახადისაგან ქალაქად განთავისუფლდება:....]

„ბ) ოთხფეხი საქონელი, რაც ეკუთვნის შრომის გმირს, ყოფ. პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების წევრს და ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრს, უკეთუ ეს ოთხფეხი საქონელი გამოყენებულია მხოლოდ აღნიშნული პირების და მათი ოჯახის პირადი საჭიროებისათვის“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. სექტემბრის 26.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 243 №-ში 1931 წ. ოქტომბრის 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინანსები

224. დადგენილება ს. კ. ს.

1932 წლისათვის საქართველოს სსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის და ერთიანი საფინანსო გეგმის შედგენის წესისა და ვადების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1932 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გასატარებელი როგორც საადმინისტრაციო-სამმართველო და სხვა საჭიროებათა, ისე სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ხარჯთაღრიცხვების პროექტები წარდგენილი უნდა იქნეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში არა უგვიანეს 1931 წ. სექტემბრის 30-ისა და მათ აუცილებლად უნდა დაერთოს სპეციალურ სახსართა ხარჯთაღრიცხვების პროექტები, უკეთუ ასეთი სახსარი არის ამა თუ იმ უწყების და დაწესებულების ან მათი ადგილობრივი ორგანოების განკარგულებაში.

2. ის ასიგნები სახალხო მეურნეობის დაფინანსებისათვის, რაც აღრიცხულ არ უნდა იქნეს ამა დადგენილების 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვებში, აგრეთვე სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის არასაგადასახადო შემოსავალი, რაც გატარებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ რესპუბლიკანურ ბიუჯეტში, შეიტანება ამ ბიუჯეტში სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების საფინანსო გეგმების თანახმად.

3. სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების საფინანსო გეგმებს სათანადო უწყებები, დაწესებულებები და ორგანიზაციები წარადგენენ საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში არა უგვიანეს 1931 წ. სექტემბრის 30-ისა.

4. საქართველოს სსრ რესპუბლიკანურ ბიუჯეტში შემავალი ყველა საუწყებო ხარჯთაღრიცხვის გამო აღძრული სადაო საკითხები, რაც გადაუწყვეტელი დარჩება საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ სახარჯთაღრიცხვო-საბიუჯეტო თათბირში, გადაწყდება საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარისა და დაინტერესებული უწყების თუ დაწესებულების ხელმძღვანელის შეთანხმებით. უკეთუ შეთანხმება არ მოხდა, სადაო საკითხებს გადასწყვეტს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის წესით.

5. საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ სახარჯთაღრიცხვო საბიუჯეტო თათბირში შეთანხმებული საქართველოს სსრ უწყებათა და დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვებით ნავარაუდევი ასიგნები შეიტანება ბიუჯეტის პროექტში თათბირის მიერ მიღებული რაოდენობით, ხოლო არაშეთანხმებული ასიგნები — ისეთი რაოდენობით, რაც მიღებული იქნება უმეტესობის მიერ ამა დადგენილების მე-4 მუხლში აღნიშნული წესისამებრ შეუთანხმებლობის გადაწყვეტის დროს.

6. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების საფინანსო გეგმებით და სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის ა/კავკასიის სამხარეო კონტორის საკრედიტო გეგმით (ამ უკანასკნელით — საქართველოს სსრ-თვის გათვალისწინე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული ნაწილი) საგეგმო დანიშნულებანი საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტში შეიტანება საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი თანხების რაოდენობით.

7. საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატში წარდგენილ უნდა იქნეს ადგილობრივი ბიუჯეტების საკონტროლო ციფრები, უწყებებისა და დაწესებულებების და მათი ადგილობრივი ორგანოების სპეციალურ სახსართა ხარჯთაღრიცხვების ჯუმლები და აგრეთვე საფინანსო გეგმები:

ა) სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ საგეგმავი მრეწველობისა;

ბ) სხვა უწყებების სამეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა (საგამომცემლო, სააფთიაქო სამმართველო, სავაჭრო საწარმონი და სხვ.) — თვითეული უწყებისა ცალკე;

გ) ქვედა საფეხურების ქვემდებარე მრეწველობისა;

დ) სამომხმარებლო, საშინამრეწველო-სარეწაო, საინვალიდო, სამებადურო და სამონადირო, სასოფლო-სამეურნეო, საბინაო-სამშენებლო და საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ორგანიზაციებისა (თვითეული სახის კოოპერაციისა ცალკე);

ე) რესპუბლიკანური და ადგილობრივი საბჭოთა მეურნეობისა;

ვ) აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების კომუნალური და საბინაო მეურნეობისა;

ზ) განათლებისა;

თ) ჯანმრთელობისა;

ი) სოციალური დაზღვევის ბიუჯეტი;

კ) ადგილობრივი ბანკების ჯუმლობითი საკრედიტო გეგმა;

ლ) პროფესიონალური კავშირებისა და ნებაყოფლობითი საზოგადოებებისა;

8. ადგილობრივი ბიუჯეტების ყველა საკონტროლო ციფრებს, უწყებებისა და დაწესებულებების და მათი ადგილობრივი ორგანოების სპეციალურ სახსართა ხარჯთაღრიცხვებს, ჯუმლებს და აგრეთვე საფინანსო გეგმებს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი წარუდგენს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ერთიანი საფინანსო გეგმის სახით.

9. ამა დადგენილების მე-7 მუხლში აღნიშნული საფინანსო გეგმების შედგენისათვის საჭირო მასალის სახით სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები და საქალაქო საბჭოები წარუდგენენ საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს სარაიონო ჯუმლობითს ბიუჯეტებს, საქალაქო ბიუჯეტებს და საფინანსო გეგმებს:

ა) კომუნალური და საბინაო მეურნეობისა;

ბ) სარაიონო თუ საქალაქო ქვემდებარეობის მრეწველობისა;

გ) სოფლის მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა;

დ) განათლებისა — სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების და საქალაქო საბჭოების ქვემდებარე დაწესებულებათა და საწარმოთა ხაზით და სარაიონო ან საქალაქო მნიშვნელობის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხაზით;

ე) ჯანმრთელობისა — იმავე ქვემდებარეობის დაწესებულებათა და საწარმოთა ხაზით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) სამომხმარებლო კოოპერაციისა;

ზ) საქალაქო კომუნალური ბანკების საკრედიტო გეგმები.

10. საქართველოს სსრ 1932 წლის რესპუბლიკანური ბიუჯეტისა და საფინანსო გეგმის პროექტს, მასში შეტანილი სამეურნეო ორგანიზაციების საფინანსო გეგმებისა, ბიუჯეტებისა, ხარჯთაღრიცხვებისა და საკრედიტო გეგმების თანდართვით, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი წარუდგენს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას არა უგვიანეს 1931 წლის ოქტომბრის 5-სა, რისთვისაც:

ა) მიენდოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიმუშაონ თავიანთი რესპუბლიკანური (საოლქო) ბიუჯეტები და ერთიანი საფინანსო გეგმები და წარუდგინონ საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს არა უგვიანეს 1 31 წლის სექტემბრის 30-ისა;

ბ) წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კომუნალურ ბანკს არა უგვიანეს 1931 წლის სექტემბრის 30-ისა წარუდგინოს ბანკის 1932 წლის საფინანსო გეგმა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის სამხარეო კონტორას, ხოლო ასლი საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს; ამავე ბანკმა წინადადება მისცეს თავის ფილიალებს საქართველოს ს ს რ-ის შედგენილობაში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში, რათა მათ არა უგვიანეს 1931 წლის ოქტომბრის 20-ისა წარუდგინონ საფინანსო გეგმები სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის სათანადო განყოფილებებს, ხოლო ასლი—საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს;

გ) წინადადება მიეცეს იმ ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, რომელთა გამგებლობაშიაც. არის ამა დადგენილების მე-7 მუხლის „ა"—„ლ" პუნქტებში ჩამოთვლილი მეურნეობის დარგები, არა უგვიანეს 1931 წლის სექტემბრის 30-ისა წარუდგინონ საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს სათანადო დარგების საფინანსო გეგმები;

დ) ეთხოვოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის სამხარეო კონტორას არა უგვიანეს 1931 წლის ოქტომბრის 3-ისა აცნობოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს საფინანსო გეგმა თავისი სისტემისა საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიურ ოლქითურთ, და აგრეთვე მისცეს განკარგულება თავის ფილიალებს საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში, რათა მათ არა უგვიანეს 1931 წლის სექტემბრის 25-ისა წარუდგინონ საქართველოს სსრ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს თავიანთი საფინანსო გეგმები სათანადო ავტონომიური ერთეულებისათვის.

11. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია არა უგვიანეს 1931 წლის ოქტომბრის 7-ისა წარუდგენს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავის დასკვნას ერთიანი საფინანსო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. წინა მუხლებში აღნიშნული ყველა მასალა 1932 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტისა და ერთიანი საფინანსო გეგმის შესადგენად როგორც საკრედიტო სისტემის, ისე უწყებების. დაწესებულებების და ორგანიზაციების ხაზით, უნდა შემუშავდეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ მიცემული ინსტრუქციებისა და ფორმების თანახმად.

13. მიენდოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს სასწრაფო წესით მიაწოდოს საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებს და ავტონომიურ ოლქს, აგრეთვე საკრედიტო დაწესებულებათა სისტემას, უწყებებს. დაწესებულებებს და ორგანიზაციებს ინსტრუქციები და ფორმები სადარგო და ჯუმლობითი საფინანსო გეგმების შესადგენად.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოად. **ვ. ლუნკევიჩი.**

1931 წ. სექტემბრის 16.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 214 №-ში 1931 წ. სექტემბრის 17.

სოციალურ-კულტურული წყობილება

225. დადგენილება ს. კ. ს.

საშუალო და დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

საქართველოს სსრ-ის მთავრობის მიერ უკანასკნელი წლების განმავლობაში მიღებულია მთელი რიგი ღონისძიებები მასწავლებლების მატერიალური და საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო საჭიროდ სცნობს მასწავლებლების, კერძოდ, საშუალო და დაწყებითი სკოლების მასწავლებლების და აგრეთვე სოფლად განათლების დარგის სხვა მომუშავეების მდგომარეობის შემდგომ სისტემატიურ გაუმჯობესებას და, ხელმძღვანელობს რა ხელისუფლების საერთო-საკავშირო ორგანოების სადირექტივო წინადადებებს, ადგენს:

1. წინადება მიეცეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—იხმაროს სასწრაფო ღონისძიებანი, რათა საშუალო და დაწყებითი სკოლისმასწავლებელნი, როგორცქალაქად ისე სოფლად, მომარაგებულ იქნენ ძირითადი სასურსათო და სამრეწველო საქონელით იმ ნორმების თანახმად და იმ წესით, რაც განსაზღვრულია მე-2 №-ის სიისათვის მიკუთვნებული ადგილების სამრეწველო მუშების მოსამარაგებლად.

ამ მიზნით, მე-IV კვარტალისათვის საქართველოს სსრ მოსახლეობის მომარაგების ლიმიტების განსაზღვრის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს მე-2 №-ის სიაში საშუალო და დაწყებითი სკოლის მთელი სამასწავლებლო პერსონალისა და აგრეთვე ქოხ-სამკითხველოების მომუშავეების შეტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. ამ მუხლის თანახმად უნდა მოეწყოს აგრეთვე მეწყალი კოლექტივიზაციის რაიონების საშუალო და დაწყებითი სკოლების მასწავლებლებისა და ქოხ-სამკითხველოების მომუშავეების მომარაგება სამრეწველო და სასურსათო საქონლით.

2. იმ სოფლებში, სადაც მუშათა მომარაგების ხაზით მოწყობილია დახურული განმანაწილებლები, საშუალო და დაწყებითი სკოლის მასწავლებლები ამ განმანაწილებლებს უნდა მიემაგროს.

სამრეწველო ცენტრების (ჭიათურა, ტყიბული, შირაქი, ტყვარჩელი, ანდეზიტი და სხვ.) საშუალო და დაწყებითი სკოლის მასწავლებლები უნდა მიემაგროს მუშათა არსებულ დახურულ განმანაწილებლებს; თანაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მასწავლებლების სამრეწველო და სასურსათო საქონელით მომარაგება იმავე ნორმით და იმავე საფუძველზე, რა ნორმითაც და საფუძვლითაც სწარმოებს აღნიშნულ განმანაწილებლებზე მიმაგრებული სამრეწველო მუშების მომარაგება.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს და სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს—„ცეკავშირს"—ერთი დეკადის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან შეიმუშაონ და წარუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ღონისძიებანი ქალაქად მასწავლებელთათვის საზოგადოებრივი კვების მოწყობის შესახებ.

იმ სოფლებში, სადაც მოწყობილია მუშათა დახურული სასადილოები, საშუალო და დაწყებითი სკოლის მასწავლებლები უნდა მიემაგრონ აღნიშნულ სასადილოებს; ამასთანავე ხმარებული უნდა იქნეს ღონისძიებანი, რათა ეს სასადილოები უზრუნველყოფილ იქნეს სასურსათო პროდუქტების სათანადო დამატებითი ფონდებით.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს იხმარონ ღონისძიებანი მასწავლებლებისადმი მათი დავალიანების სრული ლიკვიდაციისათვის სამუშაო ხელფასის დარგში იმ ანგარიშით, რომ ეს დავალიანება საბოლოოდ დაფარულ იქნეს არა უგვიანეს ა/წ. ოქტომბრის 1-ისა.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს უზრუნველჰყონ საბიუჯეტო წესით განათლების მომუშავეთათვის კომუნალური მომსახურეობის საყიდლის გადასახდელად საჭირო თანხისა და აგრეთვე ნამსახური წლების პერიოდული მომატების მიცემა.

6. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს იხმარონ ღონისძიებანი, რათა განათლების მომუშავენი უზრუნველყოფილ იქნენ კომუნალური მომსახურეობით ნატურად ან სათანადო ფულადი გასამრჯელოს მიცემით.

7. დაევალეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან, განათლების სახალხო კომისარიატთან და განათლების დარგის მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან ერთად, შეიმუშაოს და ერთი დეკადის ვადაზე წერუდგინოს სახალხო კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისართა საბჭოს ღონისძიებანი საშუალო და დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა სამუშაო ხელფასის გადიდებისათვის.

აღნიშნული საკითხის შემუშავების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მაწავლებელთა შრომის სასყიდლის დიფერენცირებული სისტემის შემოღების საჭიროება რაიონებისა, კვალიფიკაციისა, სტაჟისა და მუშაობის თვისების მიხედვით.

8. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს აღსრულების კომისიას შეამოწმოს ამა დადგენილების აღსრულება 1931 წლის ოქტომბრის პირველ ნახევარში.

9. დაევალოს საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე ამა დადგენილებიდან გამომდინარე ღონისძიებანი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საბჭოს საქმეთა მმართველის მაგ. **ვ. ლუნკევიჩი.**

1931 წ. სექტემბრის 18.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 218 №-ში 1931 წ. სექტემბრის 22.

---

226. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმეთა მთავარი სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება საქართველოს სსრ ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმეთა მთავარი სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების შესახებ.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულების სამოქმედოდ შემოღებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წ. იანვრის 12-ს დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარი მმართველობის შესახებ (კან. კრ. 1923 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 6, ვვ. 69).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. აგვისტოს 23.
ტფილისი.

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმეთა მთავარი სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების შესახებ.

1. გამოსაქვეყნებელი ან გასავრცელებელი ბეჭდვითი ნაწარმოებისა, ხელნაწერებისა, სურათებისა და სხვ., აგრეთვე რადიომაუწყებლობისა, ლექციებისა და გამოფენებისათვის ყოველი სახის პოლიტიკურ-იდეოლოგიური, სამხედრო და ეკონომიური კონტროლის გასაწევად საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის შედგენილობაში მოწყობილია ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმეთა მთავარი სამმართველო (მთავლიტი).

2. მთავლიტს დაეკისრება:

ა) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა და ინსპექტირება მთავლიტის ადგილობრივ ორგანოებსა და რწმუნებულებს;

ბ) გაუწიოს წინასწარი და შემდგომი როგორც პოლიტიკურ-იდეოლოგიური, ისე სამხედრო და ეკონომიური კონტროლი გამოსასვლელ ლიტერატურას და აგრეთვე რადიომაუწყებლობას, ლექციებს და გამოფენებს;

გ) მოახდინოს იმ გამოცემათა კონფისკაცია, რაც გასავრცელებელი არ არის;

დ) გასცეს ნებართვა გამომცემლობებისა და ბეჭდვითი პერიოდული ორგანოების დაარსებისათვის; დახუროს გამომცემლობანი და გამოცემანი; აკრძალოს და ნება დართოს საზღვარგარეთიდან ლიტერატურისა, სურათებისა და სხვ. ამისთ. შემოტანა მომქმედი კანონების შესაბამისად;

ე) გამოსცეს თავის საგამგებლო საგნების სფეროში წესები, განკარგულებები და ინსტრუქციები, რაც სავალდებულოა ყველა დაწესებულებისა, ორგანიზაციისა და კერძო პირისათვის;

ვ) განიხილოს საჩივრები მთავლიტის ადგილობრივი ორგანოებისა და რწმუნებულების გადაწყვეტილებებზე;

ზ) შეიმუშაოს, სათანადო უწყებებთან ერთად, იმ ცნობათა ნუსხა, რაც თავისი შინაარსით სპეციალურად დასაცავ სახელმწიფო საიდუმლოებას შეადგენს და რაც გამოსაქვეყნებელი ან გასახმაურებელი არ არის;

თ) შეადგინოს კონფისკებულ და გასავრცელებლად აკრძალულ გამოცემათა სიები;

ი) პასუხისგებაში მისცეს ის პირნი, ვინც მთავლიტის, მისი ადგილობრივი ორგანოების და რწმუნებულების მოთხოვნას დაარღვევს.

3. დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად მთავლიტს უფლება აქვს აკრძალოს ისეთი ნაწარმოების გამოცემა, გამოქვეყნება და გავრცელება:

ა) რაც შეიცავს საბჭოთა ხელისუფლებისა და პროლეტარიატის დიქტატურის საწინააღმდეგო აგიტაციას და პროპაგანდას;

ბ) რაც ახმაურებს სახელმწიფო საიდუმლოებას;

გ) რაც აღძრავს ნაციონალურ და რელიგიურ ფანატიზმს;

დ) რაც აღძრავს საზოგადოებრივ აზრს ტყუილი ცნობების გავრცელებით;

ე) რასაც პორნოგრაფიული ხასიათი აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. წინასწარ კონტროლს (მე-2 მუხლის „ბ“ პუნ.) მთავლიტი ანხორციელებს თავისი რწმუნებულების მეშვეობით, რომელნიც იმყოფებიან გამომცემლობებთან, პერიოდული გამოცემების რედაქციებთან, სტამბებთან, რადიო-მაუწყებელ ორგანიზაციებთან, დეპეშათა სააგენტოებთან, საბჭოებთან, მთავარ ფოსტამტთან და სხვა ასეთ დაწესებულებასთან.

რწმუნებულთ დანიშნავს და გადააყენებს მთავლიტი; მათ ინახავენ ის ორგანიზაციები, რომლებთანაც რწმუნებულნი იმყოფებიან.

სახელმწიფო გამომცემლობათა პროდუქციის წინასწარ კონტროლს ანხორციელებენ ამ გამომცემლობათა გამგენი, რომელნიც მთავლიტის რწმუნებულნი არიან და მოქმედობენ საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული ინსტრუქციის თანახმად.

მთავლიტს უფლება აქვს, საჭირო შემთხვევაში, დააწესოს, თავისი, განსაკუთრებით დანიშნული, რწმუნებულების სახით, წინასწარი კონტროლი სახელმწიფო გამომცემლობათა მიერ გამოსაცემი, როგორც მთელი პროდუქციისათვის საერთოდ, ისე ამა თუ იმ სახის ლიტერატურისათვის ცალკეულად.

5. კომუნისტური ინტერნაციონალისა, სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა, სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური და სარაიონო კომიტეტებისა და აგრეთვე ამიერკავკასიის და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების გამოცემები და მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის ნაშრომები განთავისუფლებულია პოლიტუკურ-იდეოლოგიური კონტროლისაგან.

ამ გამოცემათა მიმართ მთავლიტსა და მის ადგილობრივ ორგანოებს დაკისრებული აქვთ—მათი წინასწარი გადათვალიერებით უზრუნველჰყონ სახელმწიფო საიდუმლოების სრული დაცვა.

6. მთავლიტის სათავეში სდგას უფროსი, რომელიც განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრია. მთავლიტის უფროსთან მოეწყობა კოლეგია, რომლის პერსონალურ შედგენილობასაც დაამტკიცებს განათლების სახალხო კომისარიატი დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით.

7. სამრეწველო ცენტრებში, სადაც საფაბრიკო-საქარხნო გაზეთების განვითარებული ქსელია და თვალსაჩინო საგამომცემლო საქმიანობაა, სახალხო განათლების სათანადო ორგანოებთან მოეწყობიან მთავლიტის ადგილობრივი ორგანოები, რომელნიც თავიანთ მუშაობას ანხორციელებენ მთავლიტის დირექტივებისა და დავალებების მიხედვით.

8. მთავლიტის ადგილობრივ ორგანოებს დაკისრებული აქვთ ამა დებულების 1-ლ მუხლში მე-2 მუხლის „ბ“, „გ“, „თ“ და „ი“ პუნქტებში და მე-3 მუხლში აღნიშნული ფუნქციები.

რაიონებში ადგილობრივი ორგანოების ფუნქციებს ანხორციელებენ განსაკუთრებული პირნი (რაილიტები), რომელთაც დანიშნავს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი მთავლიტთან შეთანხმებით.

9. მთავლიტის ადგილობრივ ორგანოების კონსტრუირება მოხდება მთავლიტის ანალოგიურად; ამასთანავე, გამგეთ დანიშნავს და გადააყენებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი მთავლიტის წარდგენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ყველა ბეჭდვითს ნაწარმოებს, რაც საქართველოს სსრ-ში გამოიცემა, უნდა ჰქონდეს მთავლიტის ან მისი ადგილობრივი ორგანოს (ქალაქლიტის, რაიონლიტის, მთავლიტის რწმუნებულის) სანებართვო ვიზა.

11. სტამბების გამგენი მოვალენი არიან წარუდგინონ მთავლიტის ორგანოებს ყოველგვარი ბეჭდვითი ნაწარმოების რვა-რვა ცალი, ნაწარმოების დაბეჭდვისთანავე, საჯაროდ გამოშვებამდე.

12. მთავლიტის ან მისი ადგილობრივი ორგანოსაგან ნებადაურთველი ბეჭდვითი ნაწარმოები ამოირთმევა გავრცელებიდან, მთავლიტის ან მისი ორგანოს წინადადებით, გამომცემლობისა, წიგნის ვაჭრობისა და გამავრცელებელი ორგანიზაციის აპარატის მიერ (სახელგამი, „სოიუზპეჩატ“ და სხვ.)

---

227. დადგენილება ც. ა. კ.

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს დებულებისა (1926 წ. მაისის 5-ის რედაქციით) და ამ დებულების დამტკიცების თაობაზე გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს დებულების (ახალი რედაქციით) დამტკიცებასთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს დებულება და ამ დებულების დამტკიცების შესახებ 1926 წლის მაისის 5-ის თარიღით გამოცემული დადგენილება გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვ. დრ. აღმსრ. **ბ. მაჩაიძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. სექტემბრის 17.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

228. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ-ის გამოცალკევებული კურორტების შესახებ.

საკურორტო საქმის განსავითარებლად ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის—საკურორტო მშენებლობის გეგმის შესაბამისად და მასთან დაკავშირებული საკურორტო დასახლებული ადგილების სოციალისტური გარდაქმნის მიზნით—ამ დასახლებული ადგილების კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის საკითხებში ორუფლებობისა და პარალელიზმის თავიდან აცილებისათვის და აგრეთვე სახელმწიფო კურორტების ადმინისტრაციასა და ადგილობრივ საბჭოებს შორის ურთიერთობის მოწესრიგებისათვის, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. კურორტები აბასთუმანი, ბორჯომი და წყალტუბო გამოცხადებულ იქნეს გამოცალკევებულ კურორტებად. გამოიყოს სათანადო ადგილობრივი საბჭოების გამგებლობიდან საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოს საადმინისტრაციო-სამეურნეო მმართველობაში გამოცალკევებული საკურორტო უბნების ტერიტორია სათანადო ქალაქებისა, დასახლებული ადგილებისა და მათ გვერდით მდებარე მიწების საერთო ფართობიდან იმ საზღვრებში, რაც დადგენილ იქნება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური დადგენილებით.

2. გამოცალკევებული საკურორტო უბნების ტერიტორიაზე მდებარე ყველა საადგილმამულო ქონება, მუნიციპალური შენობა და ნაგებობა, კომუნალური და სასანიტარო გამართულობა, ყოველგვარი გაწყობილობით და ინვენტარით გადაიცეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში.

შენიშვნა. მთავარი საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში არ გადაიცემა სასწავლებელთა შენობები და აგრეთვე ჯანმრთელობის ადგილობრივი განყოფილებების გამგებლობაში მყოფი სამკურნალო დაწესებულებების მიერ დაჭერილი შენობები ყველა მათი გაწყობილობით და ინვენტარით.

3. კანონით გათვალისწინებული სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების ყველა უფლება და მოვალეობა კომუნალური მეურნეობისა, საბინაო მშენებლობისა, სანიტარიისა და კეთილმოწყობის სფეროში გამოცალკევებული საკურორტო უბნების ტერიტორიაზე დაეკისრება სათანადო საკურორტო სამმართველოებს.

კერძოდ, გამოცალკევებული უბნების საკურორტო სამმართველოები, გარდა საკურორტო მშენებლობისა, ამ უბნების ტერიტორიაზე განახორციელებენ მთელ საბინაო და კომუნალურ მშენებლობას, აღნიშნული უბნების დაგეგმვას და გადაკეთებას და აგრეთვე განაგებენ მთელ მუნიციპალურ საბინაო ფონდს, მათ შორის იმ ფონდსაც, რაც გათვალისწინებულია კომუნალური საბინაო ფონდის შესახებ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკემბრის 20-ის დადგენილებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 5).

შენიშვნა. გამოცალკევებული საკურორტო უბნების საბინაო მშენებლობისა, კომუნალური მეურნეობისა, დაგეგმვისა და გადაკეთების სფეროში მთავარი საკურორტო სამმართველო ყველა თავის მოქმედებას და ღონისძიებას შეუთანხმებს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს.

4. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველო გამოცალკევებული საკურორტო უბნების ტერიტორიაზე გამოსცემს სავალდებულო დადგენილებებს ყველა იმ საკითხის შესახებ, რაც საქალაქო საბჭოების და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების კომპეტენციას ეკუთვნის. გარდა „სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დებულების“ მე-6 მუხლის „ა“, „ბ“, „გ“, „პ“, „უ“ და „რ“ პუნქტებში აღნიშნული საკითხებისა, და განსაზღვრავს პასუხისმგებლობას საადმინისტრაციო წესით ამ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში.

5. გამოცალკევებული კურორტების საკურორტო სამმართველოები განთავისუფლდებიან ყველა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან იმ ქონებრივი ობიექტების სფეროში, რაც გამოცალკევებულია საკურორტო უბნების ტერიტორიაზე.

ადგილობრივი გადასახადი და გამოსაღები, რაც გადახდება ფიზიკურ და იურიდიულ პირს დაბეგვრის ყველა ობიექტისათვის გამოცალკევებული საკურორტო უბნების ტერიტორიაზე, ჩაირიცხება სათანადო ადგილობრივი საბჭოს შემოსავლად.

საკურორტო სამმართველო მონაწილეობას მიიღებს ადგილობრივი საბჭოს მიერ საადმინისტრაციო და სასამართლო დაწესებულებების შენახვისა და სახალხო განათლებისა, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის გაწეულ ხარჯში იმ ანარიცხების რაოდენობით, რასაც ყოველწლიურად დააწესებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ამა დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად მთავარი საკურორტო სამმართველოსათვის გადაცემული ქონების შემოსავლიდან.

6. რევოლიუციონური წესრიგის და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვას და აგრეთვე საკურორტო ქონების დაცვას გამოცალკევებული საკურორტო უბნების ტერიტორიაზე განახორციელებს, მუშათა და გლეხთა მილიციის დებულებით (სსრკ-ის კან. კრ. 1931 წ. 33 №-ი, მუხ. 247) გათვალისწინებული წესისამებრ, საუწყებო მილიცია, რომელიც მთავარი საკურორტო სამმართველოს მიერ გაცემული სახსრით ინახება.

7. სათანადო საკურორტო სამმართველო წარუდგენს პერიოდულად ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს (საბჭოს, საბჭოთა ყრილობებს და აღმასრულებელ კომიტეტს) თავისი მოქმედების ანგარიშს ამა დადგენილების მე-3 მუხ. აღნიშნული საკითხების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს:

ა) დაადგინოს 1932 წლის იანვრის 1-მდე გამოცალკევებული კურორტების —აბასთუმანისა, ბორჯომისა და წყალტუბოს საზღვრები და დაამყაროს ამა დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული სათანადო მიწის ფართობისა და ქონებრივი ობიექტების მთავარი საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში გადაცემის წესი და ვადები;

ბ) შეიტანოს ერთი თვის ვადაზე საქართველოს სსრ-ის კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. სექტემბრის 27.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 239 №-ში 1931 წ. ოქტომბრის 16.

---

229. დადგენილება ც. ა. კ.

საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 126 და 127 მუხლების განმარტების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

განიმარტოს: ა) რომ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-6 №-ი, მუხ. 56) 126 მუხლით გათვალისწინებულ დავად, რომლის განცხადების გამოც მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოს არ შეუძლიან შეიტანოს სათანადო აქტების დავთარში შესწორება, იგულისხმება ისეთი საერთო-სასარჩელო წესით გადასაწყვეტი შემთხვევა, როდესაც აქტების დავთარში ჩანაწერის შესწორება ეხება სხვა პირების პირად ან ქონებრივ ინტერესებს; ბ) რომ იმავე კოდექსის 127 მუხლით გათვალისწინებულ დაინტერესებულ პირებად იგულისხმებიან როგორც ის პირნი, რომელთა პირად და ქონებრივ ინტერესებსაც ეხება მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების დავთარში შესატანი ცნობები, ისე პროკურატურის ორგანოები სამოქ. სამართ. საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის წესისამებრ, და გ) რომ ყველა სხვა შემთხვევაში მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების დავთარში ჩანაწერის შესწორება შეუძლიან თვით ამ აქტების ჩამწერ ორგანოებს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ცენტრალური განყოფილების ნებართვით.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვ. დრ. აღმსრ. **ბ. ბაჩაიძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. სექტემბრის 17.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლის სამართალი

230. დადგენილება ᲒᲐ. Ꭺ. Ꭻ. ᲓᲐ Ꭶ. Ꭻ. Ꭶ.

საქონლის მიშვებით ბამბის ნათესის წახდენისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

„1931 წელს ბამბის მოკრეფის კამპანიის მოწყობისა და ჩატარების შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილების შესაბამისად („ზარია ვოსტოკა“ 221 №-ი 1931 წ. აგვისტოს 13-ისა) და სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 136^3 მუხლი შემდეგი შინარსისა:

„მუხ. 136^3. როგორც სხვისი, ისე საკუთარი ბამბის ნათესის განზრახ საქონლის მიშვებით წახდენა, უკეთუ ამ ქმედობას არ აქვს ამა კოდექსის 58^7 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე.

იგივე მოქმედება იმ პირისა, რომელიც კულაკურ-შეძლებულ მეურნეობას ეკუთვნის,—

თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე, მთელი ქონების ან ქონების ნაწილის კონფისკაციით ან უამისოდ“.

II.

სისხლის სამართლის კოდექსის 136^3 მუხლში აღნიშნული ქმედობის შესახები საქმეების განხილვა ჩამოერთვას სასოფლო საზოგადოებრივ სასამართლოებს და დაექვემდებაროს, წანახედით მიყენებული ზიანის თანხის რაოდენობის მიუხედავად ,სახალხო სასამართლოებს.

III.

წინადადება მიეცეს რესპუბლიკის პროკურორს მისცეს დირექტივები სათანადო სარაიონო პროკურორებს: ა) გააძლიერონ ზედამხედველობა ადგილობრივი სარაიონო და სასოფლო ადმინისტრაციის მოქმედებისათვის, რათა მან მიიღოს გადამწყვეტი ღონისძიება ბამბის ნათესის საქონლის მიშვებით წახდენისა და სხვაფრივ განადგურების წინასწარ ასაცდენად და სათანადო შემთხვევაში დამნაშავენი პასუხისგებაში მისცეს სისხლის სამართლის კოდექსის 116 ან 117 მუხლის შესაბამისად; ბ) ბამბის ნათესის საქონლის მიშვებით წახდენისა და სხვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრივ განადგურების გამოკვლევის წარმოება როგორც წამხდენთა, ისე თანამდებობის პირთა მიმართ, დაამთავრონ უმოკლეს ხანში, არა უგვიანეს ერთი დეკადის ვადისა.

IV.

წინადადება მიეცეს უზენაეს სასამართლოს—მისცეს სათანადო სახალხო სასამართლოებს დირექტივები, რათა მათ ამა დადგენილების მე-III კარში აღნიშნული საქმეები განიხილონ რიგს გარეშე და არა უგვიანეს, ვიდრე ხუთი დღის განმავლობაში საქმის მიღების დღიდან, სათანადო შემთხვევაში საჩვენებელი პროცესის მოწყობით.

V.

დაევალოს საარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს ფართოდ აუწყონ მოსახლეობას სოფლად, რომ პასუხისმგებლობა როგორც თავისი, ისე სხვისი ბამბის ნათესის განზრახ საქონლის მიშვებით წახდენისა და სხვაფრივ განადგურებისათვის გაძლიერებულია.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვ. დრ. აღმსრ. **ბ. მაჩაიძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. სექტემბრის 17.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 221 №-ში 1931 წ. სექტემბრის 25.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

231. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

„საქართველოს სსრ-ში საარბიტრაჟო კომისიების გაუქმების შესახებ“ გამოცემული საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების შეცვლის შესახებ.

„ ა/კსფსრ-ში სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივნისის 12-ის დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად („ზარია ვოსტოკა“-ს 1931 წ. 169 №-ი) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. „საქართველოს სსრ-ში საარბიტრაჟო კომისიების გაუქმების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 19-ის დადგენილების (საქ.სსრ კან.კრ. 1931 წ. მე-10 №-ი, მუხ. 125) მე-2 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. სახელმწიფო დაწესებულებათა და განსაზოგადოებული სექტორის საწარმოთა შორის ის ქონებრივი დავა, რაც წინად საარბიტრაჟო კომისიებს ექვემდებარებოდათ, ხოლო სახელმწიფო არბიტრაჟს-კი არ ექვემდებარება, გადაეცეს განსახილველად საერთო სასამართლო დაწესებულებებს და ამ საქმეთათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი ქვემდებარეობა:

ა/ განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის აღძრულ 5.000 მან. ნაკლებ დავას, რომელშიაც თუნდაც ერთ-ერთი მხარე სსრკ-ის ცენტრალური ორგანო ან საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საწარმოს ცენტრალური ორგანოა, და აგრეთვე დავას სხვა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრალურ ორგანოებს შორის და განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის 3.000 მან. ნაკლებ დავას, რომელშიც ერთ-ერთი მხარე რესპუბლიკის ცენტრალური ორგანოა, ტფილისის საქალაქო საბჭო და ა/კსფსრ-ისა, სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ან ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულება და საწარმო, აგრეთვე დავას საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალ სხვადასხვა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალურ ორგანოებს შორის გადასწყვეტს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლო, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი (უზენაესი) სასამართლო ან ავტონომიური ოლქის მთავარი სასამართლო, ტერიტორიალური ქვემდებარეობის საერთო წესისამებრ;

ბ/ ავტონომიური რესპუბლიკის ან ოლქის განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის აღძრულ 1.000 მან. ნაკლებ დავას, რომელშიაც ერთ-ერთი მხარე საქართველოს სსრ-ში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკის ან ოლქის ცენტრალური ორგანოა და რომელზედაც ამა მუხლის „ა“ პუნქტი არ ვრცელდება, გადასწყვეტს რესპუბლიკის ან ოლქის უმაღლესი (უზენაესი) ან მთავარი სასამართლო—კუთვნილებისამებრ;

გ/ ყველა დანარჩენ ქონებრივ დავას სახელმწიფო დაწესებულებათა და განსაზოგადოებული სექტორის საწარმოთა შორის, რაც წინად საარბიტრაჟო კომისიებს ექვემდებარებოდა, ხოლო სახელმწიფო არბიტრაჟს-კი არ ექვემდებარება, გადასწყვეტს სახალხო სასამართლო საქართველოს სსრ-ის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საერთო ქვემდებარეობის წესით“.

2. ხსენებული დადგენილების მე-2 მუხ. შენიშვნა (ორივე აბზაცი) შენარჩუნებულ იქნეს მე-2 მუხლის 1-ლი შენიშვნის სახით.

3. ხსენებული დადგენილების მე-3 მუხლი გაუქმებულ იქნეს.

4. მე-3 მუხ. შენიშვნა შენარჩუნებულ იქნეს მე-2 მუხ. მე-2 შენიშვნის სახით.

5. აღნიშნული დადგენილების მე 9 მუხ. ძალადაკარგულად ჩაითვალოს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი. **ს. თოდრია.**

1931. წ. სექტემბრის 24.
ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

232. დადგენილება ს. ა. კ. და ს. კ. ს.

სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხლის 1-ლი პუნქტისათვის „ქ“ ლიტერისა და 47 მუხლისათვის მე-2 შენიშვნის დამატების შესახებ.

სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. იანვრის 14-ისა და მარტის 20-ის დადგენილებით დამყარებული დაკრედიტების სისტემის შეფარდების წესის შესახებ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1931 წ. ივნისის 16-ის დადგენილების მე-4 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. მე-40 №-ი, მუხ. 282) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხლის 1-ლ პუნქტს (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-16 №-ი, მუხ. 157; 1929 წ. მე-3 №-ი, მუხ. 28 და 22 №-ი, მუხ. 266; 1930 წ. მე-7 №-ი, მუხ. 63; მე-9 №-ი, მუხ. 86 და 87; მე-11 №-ი, მუხ. 155; 1931 წ. მე-3 №-ი, მუხ. 52) დაემატოს ლიტ. „ქ“ შემდეგი შინაარსისა:

I. [46. გადამხდევინებლის განცხადებით სანოტარო კონტორა გაუკეთებს აღსრულების წარწერას: 1. ფულის გადასახდევინებლად: . . . . .]

„ქ) განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებისა, საწარმოს და ორგანიზაციის მოთხოვნის დოკუმენტს მის მყიდველებთან ანგარიშის გასწორების თაობაზე, რასაც იგი ბანკის მეშვეობით აწარმოებს: 1) მომსახურეობის გაწევისათვის და აგრეთვე სამუშაოს შესრულებისათვის ისეთი გაუნაღდებელი ანგარიშით გადახდევინების შესახებ, რომლისათვისაც დადგენილია უაქცეპტო ანგარიშგასწორება; 2) მომსახურეობის გაწევისათვის, ნააქცეპტევი, ხოლო კრედიტის უქონლობის გამო გაუნაღდებელი ანგარიშით გადახდევინების შესახებ; 3) იმ გამოყენებული საქონლის ღირებულების გადახდევინების შესახებ, რომლის ფასიც გადახდილ არ არის და რომელიც ჩაბარებული იყო პასუხისგებითი შენახვის წესით; 4) იმ საქონლის ღირებულების გადახდევინების შესახებ, რომელიც გადაცემულ იქნა შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1931 წ. ივნისის 16-ის თარიღისა და 248 №-ის დადგენილების მე-3 მუხლის წესისამებრ, ხოლო რომლის ფასიც გადახდილ არ იქნა გადაცემის დროს შეპირებულ ვადაზე (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-40 №-ი, მუხ. 282)“.

II. ზემოაღნიშნული დებულების 47 მუხლს (კან. კრ. 1928 წ. მე-16 №-ი, მუხ. 137; 1931 წ. მე-3 №-ი, მუხ. 52) დაემატოს მე-2 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა 2.** 46 მუხლის 1-ლი პუნქტის „ქ“ ლიტერით გათვალისწინებულ შემთხვევებში სააღსრულებო წარწერის მიღებისათვის საჭიროა წარდგენილ იქნეს:

ა) 1-ლი ქველიტერით გათვალისწინებულ შემთხვევაში:

1) გამყიდველ-მიმწოდებლის ფაქტურა-ანგარიში; 2) ცნობა იმ ბანკისა, სადაც გადამხდელის კონტოკორენტია, რა დროს არის მიღებული ბანკის მიერ ანგარიში და რომ ანგარიში გასტუმრებულ არ არის გადამხდელის კონტოკორენ-

ტიდან; 3) გადამხდელის ხელწერილი ფაქტურა-ანგარიშის მიღების შესახებ, ბოლო საიჯარო ხელშეკრულებით ანგარიშის გასწორებისათვის—აგრეთვე ~~ძველი~~ ხელშეკრულება;

ბ) მე-2 ქველიტერით გათვალისწინებულ შემთხვევაში: 1) გამყიდველ-მიმწოდებლის ფაქტურა-ანგარიში ბანკის წარწერით ან ცნობით აქცეპტის შესახებ, ანდა იმ ბანკის ცნობით, სადაც გადამხდელის კონტოკორენტია, რომ დადგენილ ვადაზე მიღებული არ არის უარი აქცეპტზე; 2) ბანკის ცნობა, რომ ეს ფაქტურა-ანგარიში გასტუმრებული არ არის გადამხდელის კონტოკორენტიდან კრედიტის უქონლობის გამო;

გ) მე-3 ქველიტერით გათვალისწინებულ შემთხვევაში: 1) გამყიდველ-მიმწოდებლის ფაქტურა-ანგარიში, 2) სატრანსპორტო საწარმოს ცნობა მყიდველისათვის საქონლის ჩაბარების შესახებ; 3) იმ ბანკის ცნობა, სადაც გადამხდელის კონტოკორენტია, რომ ეს ანგარიში გასტუმრებულ არ არის გადამხდელის კონტოკორენტიდან; 4) ბანკის ცნობა, რომ მან გამყიდველ-მიმწოდებლის სახელით წარუდგინა გადამხდელს მოთხოვნა დაებრუნებინა ან გარდაეგზავნა საქონელი და რომ ეს მოთხოვნა ბანკის მიერ დანიშნულ ვადაზე მყიდველმა არ შეასრულა;

დ) მე-4 ქველიტერით გათვალისწინებულ შემთხვევაში: 1) გამყიდველ-მიმწოდებლის ფაქტურა-ანგარიში გადამხდელის წარწერით აქცეპტის შესახებ; 2) იმ ბანკის ცნობა, სადაც გადამხდელის კონტოკორენტია, რომ ეს ფაქტურა-ანგარიში გასტუმრებული არ არის გადამხდელის კონტოკორენტიდან; 3) შეთანხმება გამყიდველ-მიმწოდებელსა და გადამხდელს შორის საქონლის გადაცემისა და განსაზღვრულ ვადაზე ამ საქონლის ფასის გადახდის შესახებ".

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვ. დრ. აღმსრ. **ბ. მაჩაიძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მღივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. სექტემბრის 17.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 221 №-ში 1931 წ. სექტემბრის 25.

შეცდომის გასწორება

კან. კრ.	გვ.	სრიქ.	დაბეჭდილია:	უმდა იყოს:
№ 18,				
მუხ. 202	437	11, 12	67^1	67^2

მთავლ. № 1842. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა. ტირაჟი 1.100